

შპს ნექსია თიეი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	7
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)	8
3. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები, და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	16
4. ძირითადი საშუალებები	17
5. არამატერიალური აქტივები	17
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	18
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
10. საგადასახადო ვალდებულებები	18
11. ამონაგები	19
12. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	19
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
14. კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება / ზარალი	20
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	20
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)	21
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21

შპს „ნექსია თიფი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	253,160	284,329
არამატერიალური აქტივები	5	16,285	14,352
სულ გრძელვადიანი აქტივები		269,445	298,681
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		150	178
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,094,905	790,018
ფული და ფულის ექვივალენტები	7	326,803	362,481
სულ მიმდინარე აქტივები		1,421,858	1,152,677
სულ აქტივები		1,691,303	1,451,358
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		49	49
გაუნაწილებელი მოგება		1,072,000	606,688
არამაკონტროლებელი წილი		97,068	19,952
სულ კაპიტალი		1,169,117	626,689
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		-	200,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	490,241	546,293
საგადასახადო ვალდებულებები	9	31,945	78,376
სულ მიმდინარე ვალდებულებები		522,186	824,669
სულ ვალდებულებები		522,186	824,669
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,691,303	1,451,358

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 23 სექტემბერს

სალომე კვინჩია

მთავარი ბუღალტერი

გელა მღებრიშვილი

დირექტორი


შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოდგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „ნექსია თიეი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)


	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	253,160	284,329
არამატერიალური აქტივები	5	16,285	14,352
სულ გრძელვადიანი აქტივები		269,445	298,681
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		150	178
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,094,905	790,018
ფული და ფულის ექვივალენტები	7	326,803	362,481
სულ მიმდინარე აქტივები		1,421,858	1,152,677
სულ აქტივები		1,691,303	1,451,358
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		49	49
გაუნაწილებელი მოგება		1,072,000	606,688
არამაკონტროლებელი წილი		97,068	19,952
სულ კაპიტალი		1,169,117	626,689
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		-	200,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	490,241	546,293
საგადასახადო ვალდებულებები	9	31,945	78,376
სულ მიმდინარე ვალდებულებები		522,186	824,669
სულ ვალდებულებები		522,186	824,669
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,691,303	1,451,358

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 23 სექტემბერს



სალომე კვინია

მთავარი ბუღალტერი



გელა მდებრიშვილი

დირექტორი

შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „ნექსია თიფი“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	10	7,805,974	6,797,426
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(4,815,486)	(4,027,286)
საერთო მოგება		2,990,488	2,770,140
საოპერაციო ხარჯები			
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(2,464,490)	(2,058,831)
საოპერაციო მოგება		525,997	711,309
კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება /ზარალი	13	34,757	7,561
არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავალი, წმინდა		58,440	(1,922)
საპროცენტო შემოსავალი		11,480	433
საპროცენტო ხარჯი		(986)	(253)
მოგება დაბეგვრამდე		629,688	717,127
მოგების გადასახადის ხარჯი		(13,576)	(161,661)
წლის მოგება		616,112	555,467
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		616,112	555,467
მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მისაკუთვნიებულია:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე		538,996	543,515
არამაკონტროლებელ წილზე		77,116	11,952
		616,112	555,467

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 23 სექტემბერს

სალომე კვინჩია

მთავარი ბუღალტერი

გელა მღებრიშვილი

დირექტორი


შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „ნექსია თიეი“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)


	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	10	7,805,974	6,797,426
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(4,815,486)	(4,027,286)
საერთო მოგება		2,990,488	2,770,140
საოპერაციო ხარჯები			
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(2,464,490)	(2,058,831)
საოპერაციო მოგება		525,997	711,309
კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება /ზარალი	13	34,757	7,561
არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავალი, წმინდა		58,440	(1,922)
საპროცენტო შემოსავალი		11,480	433
საპროცენტო ხარჯი		(986)	(253)
მოგება დაბეგვრამდე		629,688	717,127
მოგების გადასახადის ხარჯი		(13,576)	(161,661)
წლის მოგება		616,112	555,467
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		616,112	555,467
მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მისაკუთვნიებულია:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე		538,996	543,515
არამაკონტროლებელ წილზე		77,116	11,952
		616,112	555,467

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 23 სექტემბერს



სალომე კვინია

მთავარი ბუღალტერი



გელა მღებრიშვილი

დირექტორი

შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „ნექსია თიეი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	49	964,226		964,275
სხვა სრული შემოსავალი		543,515	11,952	555,467
გადახდილი დივიდენდი		(901,053)		(901,053)
საწესდებო კაპიტალის ზრდა			8,000	8,000
2019 წლის 31 დეკემბერი	49	606,688	19,952	626,689
სხვა სრული შემოსავალი		538,996	77,116	616,112
გადახდილი დივიდენდი		(73,684)		(73,684)
საწესდებო კაპიტალის ზრდა				-
2020 წლის 31 დეკემბერი	49	1,072,000	97,068	1,169,117

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 23 სექტემბერს

სალომე კვინჩია -

მთავარი ბუღალტერი

გელა მღებრიშვილი

დირექტორი


შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ნექსია თიეი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	49	964,226		964,275
სხვა სრული შემოსავალი		543,515	11,952	555,467
გადახდილი დივიდენდი		(901,053)		(901,053)
საწესდებო კაპიტალის ზრდა			8,000	8,000
2019 წლის 31 დეკემბერი	49	606,688	19,952	626,689
სხვა სრული შემოსავალი		538,996	77,116	616,112
გადახდილი დივიდენდი		(73,684)		(73,684)
საწესდებო კაპიტალის ზრდა				-
2020 წლის 31 დეკემბერი	49	1,072,000	97,068	1,169,117

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 23 სექტემბერს


სალომე კვინჩია -
მთავარი ბუღალტერი


გელა მღებრიშვილი
დირექტორი

შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	2020	2019
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული თანხები მომხმარებლისგან	8,152,036	8,002,617
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(1,641,181)	(1,745,506)
დასაქმებულებზე გადახდილი თანხები	(3,932,326)	(3,319,169)
გადახდილი პროცენტები	(986)	(298)
გადახდილი გადასახადები	(2,310,859)	(2,120,564)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	266,684	817,080
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(53,974)	(200,741)
მიღებული პროცენტი	11,480	433
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(42,494)	(200,309)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
სხვა სასესხო ვალდებულებების შემცირება	(200,000)	
ფულადი სახსრების შემოსვლა მოკლევადიანი სესხებიდან		200,000
კაპიტალის ზრდა		8,000
გადახდილი დივიდენდები	(70,000)	(856,000)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(270,000)	(648,000)
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	(45,810)	(31,229)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	10,132	3,493
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	362,481	390,217
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	326,803	362,481

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 23 სექტემბერს

სალომე კვინჩია

მთავარი ბუღალტერი

გელა მღებრიშვილი

დირექტორი

შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2020	2019
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული თანხები მომხმარებლისგან	8,152,036	8,002,617
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(1,641,181)	(1,745,506)
დასაქმებულებზე გადახდილი თანხები	(3,932,326)	(3,319,169)
გადახდილი პროცენტები	(986)	(298)
გადახდილი გადასახადები	(2,310,859)	(2,120,564)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	266,684	817,080
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(53,974)	(200,741)
მიღებული პროცენტი	11,480	433
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(42,494)	(200,309)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
სხვა სასესხო ვალდებულებების შემცირება	(200,000)	
ფულადი სახსრების შემოსვლა მოკლევადიანი სესხებიდან		200,000
კაპიტალის ზრდა		8,000
გადახდილი დივიდენდები	(70,000)	(856,000)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(270,000)	(648,000)
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	(45,810)	(31,229)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	10,132	3,493
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	362,481	390,217
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	326,803	362,481

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 23 სექტემბერს


სალომე კვინჯია

მთავარი ბუღალტერი


გელა მღებრიშვილი
დირექტორი

შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ნექსია თიეი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

„ნექსია თიეი“ („კომპანია“) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნებულია 2014 წლის 25 აპრილს, რეგისტრირებულია მისამართზე ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ფერდ., IV მ/რ, კორ. 30, ბ. 19 და მისი მართვისა და საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო მდებარეობს თბილისში.

კომპანიის პარტნიორები არიან: ბორისი მეგრელიშვილი, (54001013510) - 14.3%, დავითი ლომიძე, (35001039794) - 42.85%, გელა მღებრიშვილი, (35001037808) - 42.85%,

კომპანია ფლობს ორ შვილობილ კომპანიას: შპს „ნექსია თიეი აკადემია“ (ს.კ. 405175803) – 100% და შპს „ნექსია სოლუმენს“ (ს.კ. 405308661) – 51%

შპს „ნექსია თიეი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აუდიტორული, ბუღალტრული, საგადასახადო, ბიზნეს-საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურება. შპს „ნექსია თიეი აკადემია“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტრენინგების ჩატარება საგადასახადო, ბუღალტრულ და ფინანსურ სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებზე. შპს „ნექსია სოლუმენს“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბუღალტრული პროგრამის რეალიზაცია და მასთან დაკავშირებული მომსახურება.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

ჯგუფის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ჯგუფი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 აშშ დოლარი/ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო/ლარი	4.0233	3.2095

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ჯგუფი ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდ შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. ჯგუფი საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

- პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ჯგუფი მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ჯგუფი არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

- მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია ჯგუფის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადის

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღგ-ს მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

- ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ჯგუფისთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ოფისის აღჭურვილობა

5 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი

3-5 წელი

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კონსოლიდირებული ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც ჯგუფი ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. ჯგუფი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით.

შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, ჯგუფი აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. ჯგუფი გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია; (ბ) ჯგუფი ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან (გ) ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლს. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვქვეშ აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება როდესაც იგი დაიფარება ან უქმდება.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ჯგუფი ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელია რესურსების გადინება და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

პირობითი ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. პირობითი ვალდებულებები აისახება მხოლოდ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. ის აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა ჯგუფს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. ჯგუფი ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდების ან მომსახურების გაწევისას. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. ჯგუფის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეუზღუდავ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. ჯგუფის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

კონსოლიდირების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საოპერაციო შედეგების, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის უწყისისგან.

შვილობილი საწარმოები სრულად კონსოლიდირდება შესყიდვის თარიღიდან, რომელიც წარმოადგენს თარიღს როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს და წყვეტს კონსოლიდირებას, როდესაც ჯგუფი დაკარგავს კონტროლს. შვილობილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საოპერაციო შედეგები და საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია იმავე სააღრიცხვო პერიოდისთვის რაც კომპანიისა, სადაც გამოყენებულია თანმიმდევრული სააღრიცხვო პოლიტიკა. ყველა შიდა ჯგუფური ბალანსები, შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და არარეალიზებული შიდა ჯგუფური მოგება და ზარალი და დივიდენდები სრულად ელიმინირდება.

2020 წლის 31 დეკემბერისთვის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ საწარმოს:

შპს „ნექსია თიეი აკადემია“ – 100%

შპს „ნექსია სოლუმენს“ - 51%

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

3. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები, და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსხგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის მუხლებში.

3.2 საექვო და უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა ჯგუფის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორებისგან თანხების ამოღება. აღნიშნული რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ დებიტორს და განიხილავს მის გადახდისთვის მზაობას.

3.3 დაკავშირებული მხარეების გარიგებები

ჩვეულებრივად, ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

შპს „ნექსია თიეი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება				
31 დეკემბერი 2018	114,481	126,023	318	240,821
შემოსვლა	124,330	25,404	-	149,734
გასვლა	(9,965)	(180)	-	10,145
31 დეკემბერი 2019	228,845	151,246	318	380,409
შემოსვლა	44,267	6,442	-	50,710
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	273,112	157,688	318	431,118
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2018	29,837	8,731	138	38,706
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	38,561	26,299	64	64,925
გაყიდული ქონების ცვეთა	(7,433)	(117)	-	7,550
31 დეკემბერი 2019	60,965	34,913	202	96,080
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	45,835	35,980	64	81,878
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	106,800	70,893	265	177,958
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2019	167,880	116,333	116	284,329
31 დეკემბერი 2020	166,312	86,796	53	253,160

5. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	
31 დეკემბერი 2018	11,994
შემოსვლა	8,946
გასვლა	-
31 დეკემბერი 2019	20,940
შემოსვლა	4,064
გასვლა	-
31 დეკემბერი 2020	25,004
დაგროვილი ამორტიზაცია	
31 დეკემბერი 2018	5,170
ამორტიზაციის ხარჯი წლის განმავლობაში	1,418
31 დეკემბერი 2019	6,588
ამორტიზაციის ხარჯი წლის განმავლობაში	2,131
31 დეკემბერი 2020	8,719
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2019	14,352
31 დეკემბერი 2020	16,285

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	1,166,462	876,341
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	(162,668)	(201,318)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	1,003,794	675,022
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	51,528	34,193
სხვა მოთხოვნები	39,583	80,803
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,094,905	790,018

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული	12,763	13,433
ფული ბანკში	314,040	349,048
სულ	326,803	362,481

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	147,242	117,223
მიღებული ავანსები	326,646	416,524
გადასახდელი ხელფასები	15,357	9,546
სხვა ვალდებულებები	997	3,000
სულ	490,241	546,293

10. საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საშემოსავლო გადასახადი	6,128	(3,282)
დღგ, მიღებულ ავანსებზე	(47,642)	(64,509)
სხვა საგადასახადო ვალდებულება, ნეტო	73,459	146,167
სულ	31,945	78,376

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

11. ამონაგები

	2020	2019
შემოსავალი ბუღალტრული მომსახურებიდან	3,271,163	2,892,922
შემოსავალი ფინანსური საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურებიდან	1,879,036	1,750,485
შემოსავალი საგადასახადო საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურებიდან	1,446,383	1,271,743
შემოსავალი ბიზნეს-საკონსულტაციო მომსახურებიდან	490,850	389,766
შემოსავალი იურიდიული მომსახურებიდან	288,320	237,546
შემოსავალი ტრენინგებიდან	53,589	103,973
შემოსავალი ერთიანი სააღრიცხვო სისტემების პროგრამული უზრუნველყოფიდან	336,914	103,842
სხვა	39,719	47,150
სულ	7,805,974	6,797,426

12. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	4,246,246	3,451,870
სხვა	569,240	575,417
სულ	4,815,486	4,027,286

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	848,867	807,659
საიჯარო ქირა	340,131	357,179
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	636,160	192,039
საოფისე ხარჯი	137,088	145,422
სხვა ხარჯი	162,454	144,594
მივლინების ხარჯი	11,484	111,551
მარკეტინგის ხარჯი	118,554	93,178
ცვეთა და ამორტიზაცია	92,075	66,412
ტრანსპორტირების ხარჯი	22,188	40,041
საწვავის ხარჯი	23,351	34,063
საკონსულტაციო ხარჯი	40,328	31,342
დაზღვევის ხარჯი	27,833	20,732
წარმომადგენლობითი ხარჯი	3,977	14,620
სულ	2,464,490	2,058,831

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

14. კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება / ზარალი

	2020	2019
დადებითი საკურსო სხვაობა	71,172	22,000
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(36,415)	(14,439)
სულ	34,757	7,561

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს-ის 33-ე განყოფილებაში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს :

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა საბაზრო პირობით

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შვილობილი საწარმო	7,857	500
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	შვილობილი საწარმო	4,609	11,850
სულ		12,465	12,350

სრული შემოსავლის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	2020	2019
ადმინისტრაციული ხარჯები	შვილობილი საწარმო	10,245	8,409
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	შვილობილი საწარმო	2,516	
ამონაგები	შვილობილი საწარმო	13,557	
სულ		26,318	8,409

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

მენეჯმენტის ანაზღაურება

მენეჯმენტის ანაზღაურება - ხელფასი და სხვა მოკლევადიან სარგებლები საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით შეადგენს:

	2020	2019
ხელფასი და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	501,555	510,079

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის გარკვეულ მაჩვენებლებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა რაც გამოიხატა ლარის მნიშვნელოვან გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებაში. მიუხედავად არსებული გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს სხვადასხვა ზომებს ინდუსტრიაზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, თუმცა ხელმძღვანელობა წინასწარ ვერ ახდენს ამ ზომების შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 23 სექტემბერს.